

შპს „ნიუ ბრენდ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ნიუ ბრენდ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024-ის თარიღისთვის

შენიშვნა	12/31/2024 ლარი	12/31/2023 ლარი	12/31/2022 ლარი
აქტივები			
არამატერიალური აქტივები	2340	2636	1489
ძირითადი საშუალებები	83,134	107,266	145,688
სულ გრძელვადიანი აქტივები	85,474	109,902	147,177
შუა პროდუქცია	197,225	710,914	2,232,035
დაუმთავრებელი წარმოება	4,110,817	2,672,021	1,038,830
სულ მოკლევადიანი აქტივები	4,308,042	3,382,935	3,270,865
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,272	117,500	76,620
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	104,688	178,976	878,516
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	161,740	178,658	307,182
სხვა მიმდინარე აქტივები	113,249	78,730	208,308
სულ მოკლევადიანი აქტივები	395,949	553,864	1,470,626
სულ აქტივები	4,789,465	4,046,701	4,888,668
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	39,216	6,000	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	28,486
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	984,508	503,469	352,551
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	683,959	553,573	1,497,365
სხვა ვალდებულებები	36,233	29,921	19,485
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,743,916	1,092,963	1,897,887
სულ ვალდებულებები	1,743,916	1,092,963	1,897,887
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	872,004	628,020	857,690
გაუნაწილებელი მოგება	2,173,545	2,325,718	2,133,091
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	3,045,549	2,953,738	2,990,781
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	4,789,465	4,046,701	4,888,668

შპს „ნიუ ბრენდ“-ის დირექტორი ლევან აგლაძე



შპს „ნიუ ბრენდ“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2024- 31.12.2024 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2024 ლარი	2023 ლარი
ამონაგები	8	437,951	2,091,036
ამონაგების თვითღირებულება		(521,340)	(1,803,005)
საერთო მოგება		(83,389)	288,031
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(79,572)	(62,456)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	9	(2,894)	(2,762)
ფინანსური ხარჯი / შემოსავალი	10	5,514	1,274
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	11	8,168	(31,460)
მოგება დაბეგვრამდე		(152,173)	192,627
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(152,173)	192,627

შპს „ნიუ ბრენდ“-ის დირექტორი ლევან აგლაძე



შპს „ნიუ ბრენდ“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2024 - 31.12.2024
 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	სარეზერვო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2022	857,690	-	2,133,091	2,990,781
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(229,670)	-	-	(229,670)
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	192,627	192,627
ნაშთი - 31.12.2023	628,020	-	2,325,718	2,953,738
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	243,984	-	-	243,984
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	(152,173)	(152,173)
ნაშთი - 31.12.2024	872,004	-	2,173,545	3,045,549

შპს „ნიუ ბრენდ“-ის დირექტორი ლევან აგლაძე



შპს „ნიუ ბრენდ“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გრინ ლენდ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 03/05/2016). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი ნაძალადევის რ-ნი ხუდადოვის ქ. # 83. მისი ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2024	2023
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურეობის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურეობა მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ,

ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების

დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო

თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ძირითადი საშუალებები

	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	მანქანა დანადგარები
პერიოდი 01/01/2022	-	2,109	11,372	9,550	94,295
შემოსვლა	39,658	-		2,119	11,966
ცვეთა	-	(117)	(2,676)	(2,174)	(20,393)
ჩამოწერა					(21)
პერიოდი 31/12/2022	39,658	1,992	8,696	9,495	85,847
პერიოდი 01/01/2023	39,658	1,992	8,696	9,495	85,847
შემოსვლა	5,438	(117)		-	38,066
ცვეთა	-	-	(2,676)	(2,479)	(25,986)
ჩამოწერა	(45,096)	-		-	(5,572)
პერიოდი 31/12/2023	0	1,875	6,020	7,016	92,355
პერიოდი 01/01/2024	0	1,875	6,020	7,016	92,355
შემოსვლა	-	-		-	13,127
ცვეთა	-	(117)	(2,676)	(2,479)	(31,230)
ჩამოწერა		-			(757)
პერიოდი 31/12/2024	0	1,758	3,344	4,537	73,495

3. არამატერიალური აქტივები

	საბუღალტრო პროგრამა
პერიოდი 01/01/2022	1,654
შეძენა	-
ამორტიზაცია	(165)
პერიოდი 31/12/2022	1,489
პერიოდი 01/01/2023	1,489
შეძენა	1,312
ამორტიზაცია	(165)
პერიოდი 31/12/2023	2,636
პერიოდი 01/01/2024	2,636
შეძენა	-
ამორტიზაცია	(296)
პერიოდი 31/12/2024	2,340

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
მოთხოვნები ადგილობრივი მიწოდებიდან	16,272	117,500
სულ	16,272	117,500

5. სხვა მიმდინარე აქტივები

	2024	2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	8,946	35,726
საგადასახადო აქტივი	113,249	78,730
მოკლევადიანი გაცემული სესხები	152,794	141,359
მისაღები პროცენტები	-	1,573
სულ	274,989	257,388

6. მარაგები

	2024	2023
დაუმთავრებელი წარმოება	4,110,817	2,672,021
მზა პროდუქცია	197,225	71,091
სულ	4,308,042	3,382,935

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024	2023
მოკლევადიანი ნასესხები თანხები	976082	495043
სავაჭრო ვალდებულებები	39,748	39,546
გადასახდელი ხელფასები	39,216	6,000
მიღებული ავანსები	644,211	514,027
გადასახდელი პროცენტი	8,426	8,426
სხვა ვალდებულებები	36,233	29,921
საგადასახადო ვალდებულებები		
სულ	1,743,916	1,092,963

8. ამონაგები

	2024	2023
ამონაგები რეალიზაციიდან	437,951	2,091,036
ამონაგების თვითღირებულება	(521,340)	(1,803,005)
სულ	(83,389)	288,031

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
დასაქმებულთა ანაზღაურება	(58,476)	(54,000)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(2,894)	(2,762)
იჯარის ხარჯი		
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი		
მივლინების ხარჯი		
საგადასახადო ხარჯი	(9,536)	(1,796)
საბანკო ხარჯი	(669)	(1,303)
სამეურნეო ხარჯი		
რემონტის ხარჯი		
საკანცელარიო ხარჯი		
ტრანსპორტირების ხარჯი		
რეკლამის ხარჯი	(765)	(21)
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	(4,638)	(150)
საკონსულტაციო ხარჯი	(5,488)	(5,186)
საპენსიო ხარჯი		
სხვა ხარჯი		
სულ	(82,466)	(65,218)

10. ფინანსური ხარჯი / შემოსავალი

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	5,514	1,274
საპროცენტო ხარჯი	-	-
სულ	5,514	1,274

11. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2024	2023
საკუროსო სხვაობა	8,168	(31,460)
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		
სულ	8,168	(31,460)

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2024 წლის 8 სექტემბერს.

შპს „ნიუ ბრენდ“-ის დირექტორი ლევან აგლაძე

